საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №41/2018
2018 წლის 10 აგვისტო

ქ. თბილისი

„2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის 5 იანვრის №1/2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ” მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე” საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის 5 იანვრის №1/2018 დადგენილებით (სსმ ვებგვერდი, 08/01/2016, 010210010.15.008.016376) დამტკიცებულ დანართში შევიდეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანია**
კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**

ცესკოს №41/2018 დადგენილების დანართი

პროგრამული კოდი	**ხარჯთაღრიცხვა**	**სულ (ლარი)**
06 02	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	42,667,518
	ხარჯები	41,742,518
	შრომის ანაზღაურება	20,326,517
	საქონელი და მომსახურება	9,408,277
	სხვა ხარჯები	12,007,724
	არაფინანსური აქტივების ზრდა	925,000
06 02 01	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	32,127,177
	ხარჯები	31,202,177
	შრომის ანაზღაურება	19,968,700
	საქონელი და მომსახურება	8,575,477
	სხვა ხარჯები	2,658,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	925,000

06 02 02	არჩევნებისთვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება	1,190,617
	ხარჯები	1,190,617
	შრომის ანაზღაურება	357,817
	საქონელი და მომსახურება	832,800
06 02 03	საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯები	2,111,674
	ხარჯები	2,111,674
	სხვა ხარჯები	2,111,674
06 02 04	საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დაფინანსება	7,238,050
	ხარჯები	7,238,050
	სხვა ხარჯები	7,238,050